MES 3 21 0000046203

30/01/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 26.01.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოსმდივანი:ნიკა თიკანაშვილი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე -
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტის მიმართულებით
9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
13. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
14. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
15. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მაია ჭიჭილეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი, პროფესორი	I
2	ქეთევან ვაჩეიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი		I

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	
3	გიორგი რამიშვილი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	I
4	ზაზა რუხაძე	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი	II - III
5	ქეთევან ჯინჭარაძე	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II - III
6	კონსტანტინე კულიჯანოვი	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	სკოლის დეკანი	II
7	ოთარ ჩაკვეტაძე	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ირმა ღარიბაშვილი	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	პროფესორი	II
9	ქეთევან დავითაძე	შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თინათინ ხიმშიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ალექსანდრე წაქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	გიორგი მეშველიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ვახტანგ ბალავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მერაბ ბარათაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ცოტნე ცაავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ, კერძოდ, მან იშუამდგომლა დღის წესრიგს დამატებოდა, 2021 წლის 22 იანვრის N21838, 21889, 21890 და 21842 გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზების შესწორების საკითხები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;
5. „ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება;

6. „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება;
7. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება;

პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 3 დეკემბრის N223 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	არქიტექტურა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0713 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქალაქი ბათუმი, ვაჟა - ფშაველას ქუჩა N32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 26 ნოემბერს ონლაინ რეჟიმში. მათ შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტაცია და ასევე განახორციელეს დღის წესრიგით განსაზღვრული ინტერვიუირების პროცესი. ექსპერტმა აღნიშნა რომ დაწესებულებამ შეცვალა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კერძოდ ხატვა შეიცვალა ხაზვით. ასევე შეცვლილია სტუდიური ფორმატი. შეიქმნა შემოქმედებითი სახელოსნოები. შეიცვალნენ ასევე ლექტორები, ექსპერტის განმარტებით დაწესებულების წინა ხელმძღვანელი იყო არაკვალიფიციური, დღეს კი პროგრამაში ჩართულია ყველა კვალიფიციური ლექტორი. სილაბუსებში ხარვეზები გამოსწორდა და დაემატა ისეთი სახის საგნები, რომლებიც ბაკალავრიატის არქიტექტურისთვის არსებითად საჭიროა. ექპერტმა მსჯელობისას აღნიშნა, რომ საგნებს ასევე დაემატა დანართები. ექსპერტის თქმით, მესამე სემესტრიდან დაწესებულებაში დაიწყება ინდივიდუალური არქიტექტურული პროექტირება, რაც ექსპერტმა წარმატებულ ნაბიჯად შეაფასა. განხორციელდა ინსტიტუციის მხრიდან პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, და დატრენინგება. გაძლიერდა ტექნიკური საინჟინრო ნაწილი ხატვის და ფერწერის ხარჯზე. ექსპერტის თქმით, პროგრამა მთლიანად პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც სჭირდება საინჟინრო არქიტექტურულ მიმართულებას.

ექსპერტმა ჩამოთვალა მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნებში გამოსაკვეთია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;
- რეკომენდირებულია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია;
- პროგრამის კურიკულუმის თავში მოცემულია კრედიტების შემდეგი გადანაწილება: 200 დარგობრივი, 25 არჩევითი და 15 საუნივერსიტეტო სავალდებულო; თუმცა, კურიკულუმის ბოლო გვერდებზე თუ საგნობრივ საკრედიტო რუკაში წარმოდგენილ

სასწავლო კურსების მონაცემებს დავაჯამეთ, აღმოჩნდება, რომ 207 კრედიტი დარგობრივზე მოდის, 13 საუნივერსიტეტო და 20 არჩევით კურსებზე, რაც არ არის ურთიერთ შესაბამისობაში (აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის ბოლოს რუკაში მიოთითებული ციფრი „200“ არ შეესაბამება სასწავლო კურსების მიხედვით დაგროვილ კრედიტების ჯამს, რაც შეადგენს „207“-ს);

- „ფერთმცოდნეობის“ სასწავლო კურსი კურიკულუმში მოხსენიებულია ძირითად ბლოკში, ხოლო უშუალოდ სილაბუსში წერია, რომ შედის „საფაკულტეტო სავალდებულო“ ბლოკში;
- სილაბუსებში არის შემთხვევები, როდესაც მოძველებული არაქართულენოვანი, კერძოდ კი რუსული ლიტერატურაა მითითებული ძირითად ნაწილში. რუსული ენის 7 ცოდნის მოთხოვნა და ასევე სწავლება არ ჩანს პროგრამაში. უკეთესი იქნება მსგავსი ლიტერატურა გამოყენებული იქნას დამხმარედ ხოლო ძირითადი ლიტერატურა განახლდეს;
- გასათვალისწინებელია წინა აკრედიტაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოსაყვანია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი აღწერით ნაწილში წარმოდგენილის შესაბამისობაში;
- ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;
- პროფესიული განვითარის პროექტებში აუცილებელია მსგავს პროექტებში სრულად ჩართული იყოს აკადემიური პერსონალი.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციების უმეტეს ნაწილს და მზაობა გამოხატა მათ შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. როგორც მან აღნიშნა, ყველა რეკომენდაცია მათთვის მისაღებია და აუცილებლად გაითვალისწინებენ.
დაწესებულების განმარტებით, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა დიდი გამოწვევაა და შესაბამისად მასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გათვალისწინება მათი მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით „სასურველია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია“ დაწესებულებამ განმარტა, რომ არჩევითი საგნების ბლოკიდან სტუდენტები ხშირ შემთხვევაში ირჩევენ ფოტოგრაფიის სასწავლო კურსს, რომელიც ითვალისწინებს არქიტექტურული ნიმუშების ფოტოგადაღების სპეციფიკასაც. თუმცა, რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდება სასწავლო კურსი „არიქტექტურული ფოტოგრაფია“ არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მჭიდრო ურთიერთობა აქვთ, ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ისინი თანამშრომლობის ფარგლებში ცვლიან ინფორმაციას ახალ ლიტერატურასთან დაკავშირებით. ასევე, ისინი მუდმივად, ყოველწლიურად აახლებენ ლიტერატურას და ეს პროცესიც მომავალშიც გაგრძელდება. ასევე მათ გაასწორეს მექანიკური შეცდომებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული დაინტერესდა, იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ შეაფასეს ექსპერტებმა მეხუთე სტანდარტი, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან, იმ ფონზე, როდესაც დასკვნაში სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებზე არ არის რეკომენდაციები დაფიქსირებული.

ექსპერტმა განმარტა, რომ სწავლის ხარისხის განვითარების შესაძლებლობები მათ განიხილეს საერთაშორისო თანამშრომლობის ჭრილში და ამიტომაც შეფასდა მეხუთე სტანდარტი, როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან. ასევე, მან დამატებით აღნიშნა, რომ აჭარის რეგიონისთვის საბაკალავრო მიმართულებით ამ სპეციალობის არსებობა მისასალმებელი და დასაფასებელია, რადგან ამჟამად ბათუმში არსებული ინფრასტრუქტურა საკმაოდ რთულია და ამ მიმართულებით მოცემული პროგრამის არსებობა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საბჭოს წევრის, გიორგი თურქიას მოსაზრებით, არქიტექტორების მთავარი პრობლემა არის ის, რომ ვიწროდ უყურებენ პრობლემას და შესაბამისად მათ აკლიათ სისტემური აზროვნება. ის დაინტერესდა უნივერსიტეტში რამდენად ხდება თანამედროვე მასალების და თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება, რომელიც შეიძლება არქიტექტორმა გამოიყენოს და ჩამოუყალიბოს საპროექტო აზროვნება.

დაწესებულების განმარტებით მათ არა მხოლოდ გააძლიერეს საინჟინრო ნაწილი, არამედ პრინციპულად შეცვალეს მიდგომა და დაამატეს ისეთი საგნები, როგორიცაა დარგობრივი სამართალი. ისინი ასწავლიან არა მხოლოდ კოდექს, არამედ მთავრობის დადგენილებებს. მათ დაამატეს ეკონომიკა, საქალაქო ტრანსპორტი, ქალაქ დაგეგმარება. ისინი ეცადნენ, რომ სწავლება გაეხადათ მრავალფეროვანი. ისინი ასწავლიან სტუდენტებს უშუალო დამკვეთთან ურთიერთობას, აქვთ აქტიური კონტაქტები საპროექტო ორგანიზაციასთან. ასევე, მათ გაფორმებული აქვთ მემორანდუმი, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ შეახვედრონ დამსაქმებლები სტუდენტებს. მან ყურადღება გაამახვილა მერიასთან დადებულ მემორანდუმზე, რომლის მიხედვითაც წლის დასაწყისში მათი მხრიდან ხდება იმ თემების შემოთავაზება, რომელსაც დაწესებულება ირჩევს, ამის შემდგომ ჩნდება დამკვეთი, და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ცოცხალი კონტაქტი ჰქონდეთ უშუალოდ მათთან. ასევე, მათ დაამატეს საგანი არქეოლოგია და კულტურული მემკვიდრეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დარგობრივი სამართალის დამატება დადებითად შეაფასა, თუმცა, მისი თქმით, სილაბუსში, ლიტერატურად, კოდექსების და კანონების მითითება არ არის სწორი, მისი განმარტებით თავად კანონიც მოითხოვს განმარტებას. მან დაწესებულებას ურჩია, რიდერების ან კონსპექტების გაკეთება, რომლებიც სავალდებულოდ გამოსაყენებელი გახდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეხუთე სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის

მოთხოვნებთან“ შეაფასა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია და ასევე დაამატა ერთი რეკომენდაცია.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.პროგრამის მიზნებში გამოსაკვეთია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;

2. რეკომენდირებულია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია;

3. რეკომენდებულია სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე ლიტერატურა;

4. რეკომენდირებულია სპეციალობის ძირითად კურსებს დაემატოს არჩევითი დისციპლინა: არქიტექტურული ფოტოგრაფია

5. პროგრამის კურიკულუმის თავში მოცემულია კრედიტების შემდეგი გადანაწილება: 200 დარგობრივი, 25 არჩევითი და 15 საუნივერსიტეტო სავალდებულო; თუმცა, კურიკულუმის ბოლო გვერდებზე თუ საგნობრივ საკრედიტო რუკაში წარმოდგენილ სასწავლო კურსების მონაცემებს დავაჯამეთ, აღმოჩნდება, რომ 207 კრედიტი დარგობრივზე მოდის, 13 საუნივერსიტეტო და 20 არჩევით კურსებზე, რაც არ არის ურთიერთ შესაბამისობაში (აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის ბოლოს რუკაში მიოთითებული ციფრი „200“ არ შეესაბამება სასწავლო კურსების მიხედვით დაგროვილ კრედიტების ჯამს, რაც შეადგენს „207“-ს);

6. „ფერთმცოდნეობის“ სასწავლო კურსი კურიკულუმში მოხსენიებულია ძირითად ბლოკში, ხოლო უშუალოდ სილაბუსში წერია, რომ შედის „საფაკულტეტო სავალდებულო“ ბლოკში;

7. სილაბუსებში არის შემთხვევები, როდესაც მოძველებული არაქართულენოვანი, კერძოდ კი რუსული ლიტერატურაა მითითებული ძირითად ნაწილში. რუსული ენის ცოდნის მოთხოვნა და ასევე სწავლება არ ჩანს პროგრამაში. უკეთესი იქნება მსგავსი ლიტერატურა გამოყენებული იქნას დამხმარედ ხოლო ძირითადი ლიტერატურა განახლდეს;

8. გასათვალისწინებელია წინა აკრედიტაციის მიერ გაცემული რეკომენდაცია და მოსაყვანია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი აღწერით ნაწილში წარმოდგენილის შესაბამისობაში;

9. ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;

10. პროფესიული განვითარის პროექტებში აუცილებელია მსგავს პროექტებში სრულად ჩართული იყოს აკადემიური პერსონალი.

11. რეკომენდირებულია საგნის - პროექტების მართვის დამატება. გასათვალისწინებელია რომ პროექტებიას მართვა ისწავლებოდეს იმის გათვალისწინებით რომ ხელი შეუწყოს სტუდენტებში კომპლექსური ცოდნის მიღებას რაც დაეხმარება შემდგომში კურსდამთავრებულს კომპლექსური გადაწყვეტილებების განხორციელებაში. ისეთი საკითხების გათვალისწინება როგორიცაა კლიმატის გავლენა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები, სამშენებლო მასალები, ეკოლოგია, ინფრასტრუქტურა და

სხვა რომელიც მნიშვნელოვანია არქიტექტურული პროექტირებისას. ასევე მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესის დროს განხორციელებულ პროექტებში გათვალისწინებული იყოს ზემოთ ნახსენები საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

მეორე საკითხი საკითხი: შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 9 დეკემბრის N425 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ ხუთივე სტანდარტი შეაფასეს, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ასევე მათ მიერ გაიცა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, აკადემიური პერსონალის უმრავლესობას აქვს მაღალი პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, ხოლო დასაქმების პროცენტი არის საკმაოდ მაღალი.
რაც შეეხება რეკომენდაციას:
- საჭიროა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზების მიმართულებით გაიზარდოს უნივერსიტეტის ძალისხმევა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნა.

ექსპერტის განმარტებით უნივერსიტეტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გაცვლითი პროგრამის საკითხებში, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, რეკომენდაცია ეხება უშუალოდ საინჟინრო მიმართულებას, კონკრეტულად მშენებლობის პროგრამას.
რაც შეეხება რჩევას, სასურველია გაიზარდოს პროგრამის სპეციფიკაზე მორგებული საინფორმაციო შეხვედრებისა თუ სხვა ტიპის დამატებითი აქტივობების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ეთანხმებიან ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას, მისი თქმით, მათ ჰქონდათ არაერთი შემთხვევა როდესაც მათი სტუდენტები გაემგზავრნენ იტალიასა თუ სხვა ევროპის ქვეყნებში განათლების მისაღებად თუმცა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ განხორციელდა სათანადო ცოდნის მიღება. ასევე ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს სხვა უნივერსიტეტებთანაც და როგორც კი გაჩნდება შესაძლებლობა ისინი მაქსიმალურად გაითვალისწინებენ რეკომენდაციას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი სტუდენტებს ჩართავენ აქტიურად არაერთ პროექტში, რომელიც ხორციელდება ინსტიტუციის მხრიდან. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სტუდენტებისთვის შეთავაზებულია 48 გაცვლითი პროგრამაა, რომელთაგან 33 ეხება კონკრეტულად ინჟინერიის მიმართულების პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრებს არ დაუფიქსირებიათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:48
დასრულების დრო: 15:49

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, და დაეთანხმა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია:

საჭიროა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის რეალიზების მიმართულებით გაიზარდოს უნივერსიტეტის ძალისხმევა და სტუდენტებისათვის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მეტი შესაძლებლობა შეიქმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2015 წლის 10 დეკემბრის N138 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -8
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60

14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0160, თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N10
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მკესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია მიღების წინაპირობების უფრო ნათლად ჩამოყალიბება, ზოგადად ტრანსფარენტული წინაპირობების გამოყენება;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები გადავიდეს სავალდებულო კურსებში;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი აკადემიური წერა გადავიდეს სავალდებულო საგნებში
5. რეკომენდირებულია განხორციელდეს აკადემიური წერის სილაბუსის მოდერნიზება, რომ არ ქონდეს გადაფარვა სასწავლო კურსთან მეცნიერების კომერციალიზაცია;

6. რადგან პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ის ერთნაირად არის გათვლილი როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ქართულ ენას არ მიენიჭოს კრედიტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი თანამშრომლობენ მასარიკის უნივერსიტეტთან, რომლის პროფესორიც არის დაწესებულების პროგრამის ხელმძღვანელი.
პროგრამის არქიტექტონიკასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ სავალდებულოდ დატოვეს მხოლოდ თემატური სემინარი, ხოლო დანარჩენი კურსები არის არჩევითი. აკადემიური წერის სავალდებულო კურსში გადატანასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ საქართველოში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა სამაგისტრო დონეზეც კი აკადემიური წერის სწავლებას და თვითონ კვლევის მეთოდებს, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ხელმძღვანელი, რომელსაც საკმარისი დრო აქვს სტუდენტებთან კონსულტაციისთვის. ასევე, საუბარია იმასთან დაკავშირებით რომ შეიზღუდოს მიღების წინაპირობა, უმაღლესი განათლების შესახებ კანონიც იძლევა შესაძლებლობას რომ დოქტორანტმა აირჩიოს და შეიცვალოს მესამე საფეხურზე მიმართულება. საერთაშორისო ურთიერთობები არის ახალი დარგი და მითუმეტეს მიღწევები რომლებიც სხვა დარგის წარმომადგენლებს აქვთ ამ სფეროშიც არ უნდა დავივიწყოთ. როგორც მან აღნიშნა, ის ამ საუბრით ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რამაც განაპირობა პროგრამის არქიტექტონიკის ამ სახით ჩამოყალიბება. მისი თქმით, პროგრამაში გვხვდება ერთი თემატური სემინარი არჩევითი სახით და მეორე თემატური ანალიზი სავალდებულო სახით. ასევე პროგრამაზე გამოცხადება ხდება საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე და ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აპლიკანტის ხედვას საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით. თუ კი დოქტორანტი ფიქრობს რომ მას სიღრმისეული კვლევისთვის აკლია გარკვეული ინფორმაცია, თემატური სემინარები ყველაზე კარგი შესაძლებლობაა, რათა მან უფრო გაიღრმაოს ცოდნა ამა თუ იმ თემის ირგვლივ.

აკადემიური წერის და კვლევის კომერციალიზაციის კურსების გადაფარვასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის სილაბუსში მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხადაა მოცემული კვლევის მეთოდები, ხოლო კვლევის კომერციალიზაციის სილაბუსში სწავლების და შეფასების განსხვავებული მეთოდებია მოცემული. ასევე, განსხვავებულია ლიტერატურაც და რა თქმა უნდა კურსის შედეგებიც განსხვავებულია. რეფერირებად ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება აღნიშნულ სილაბუსებში სხვადასხვა მიმართულებით განიხილება, კერძოდ აკადემიურ წერის სილაბუსში ყურადღება გამახვილებულია გამოსაქვეყნებელი სტატიის სტრუქტურაზე, ხოლო რაც შეეხება კომერციალიზაციას, აქ უფრო დიდი ყურადღება ექცევა გამოქვეყნებას, ვიდრე სტატიის აგებულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე - 6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს კურსები არ არის გათვალისწინებული ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, მას არსებითი მნიშვნელობა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ენიჭება უცხოენოვან სტუდენტებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში დაწესებულება ყურადღებას ანიჭებს სახელმწიფო ენის სტატუსსა და მნიშვნელობას ასევე სტუდენტის ინტერესს, გაუადვილოს ქართულ სივრცეში საკვლევ საკითხებთან მიმართებაში კომუნიკაციის შესაძლებლობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, მისი თქმით მესამე რეკომენდაციაში ექსპერტები ალბათ სადოქტორო პროგრამას გულისხმობენ, ვინაიდან რეკომენდაციაში მითითებულია საბაკალავრო პროგრამა.
ექსპერტმა დააზუსტა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა და რა თქმა უნდა სადოქტორო პროგრამას გულისხმობენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა ასევე დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტებს, მისი თქმით, დასკვნის 2.1 და 2.2 ქვესტანდარტებში მოცემულია უფრო მეტი რეკომენდაცია ვიდრე გამოტანილია დასკვნის წინა ნაწილში. მან სთხოვა ექსპერტებს გაეკეთებინათ განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტმა უპასუხა რომ როდესაც მათ ჩამოაყალიბეს რეკომენდაციები დასკვნის პირველ მუხლში მათ გააერთიანეს სამაგისტროსთან დაკავშირებული მიღების წინაპირობები და შესაბამისად, დასკვნის წინა ნაწილში არ არის ჩამოთვლილი 2.1 - ში არსებული რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:49
დასრულების დრო: 16:11

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ ექსპერტების მიერ გაცემული 3 რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში, ასევე დაამატა ორი ახალი რეკომენდაცია.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1.რეკომენდირებულია მიღების წინაპირობების უფრო ნათლად ჩამოყალიბება, ზოგადად ტრანსფარენტული წინაპირობების გამოყენება;

2. რეკომენდირებულია განხორციელდეს აკადემიური წერის სილაბუსის მოდერნიზება, რომ არ ქონდეს გადაფარვა სასწავლომკურსთან მეცნიერების კომერციალიზაცია;

3.რადგან პროგრამა არის ინგლისურენოვანი და ის ერთნაირად არის გათვლილი როგორც უცხოელი ასევე ქართველი სტუდენტებისათვის რეკომენდირებულია ქართულ ენას არ მიენიჭოს კრედიტები
4. რეკომენდირებულია პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალი დაკომპლექტდეს უშუალოდ დარგის - საერთაშორისო ურთიერთობების - სპეციალისტებით.

5. კვლევითი სემინარის სილაბუსში გამოიკვეთოს პროფილური დარგობრივი პრიორიტეტები და დაზუსტდეს სემინარის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხები.

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსი კვლევის მეთოდები გადავიდეს სავალდებულო კურსებში;

2. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

3. სასურველია სასწავლო კურსი აკადემიური წერა გადავიდეს სავალდებულო საგნებში;

4. ტრენინგები კვლევის თანამედროვე მეთოდებში;

5. ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდებში;

6. აკადემიური პერსონალის მიტივირება შიდა (ან გარე) გრანტის მოსაპოვებლად კვლევების ჩასატარებლად დარგის მიმართულებების შესაბამისად;

7. სასურველია პროგრამას დაემატოს მემორანდუმები დამსაქმებლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ქართულ - ამერიკული უნივერსიტეტის

„საერთაშორისო ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადეს, ეკა ეკალაძემ, ზურაბ ორჯონიკიძემ და გაიანე სიმონიამ, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის"მედიცინის"სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილების N1 დანართში არ არის მითითებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილების N1 დანართში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“2021 წლის 22 იანვრის №21838 გადაწყვეტილების N1 დანართში არსებული ტექნიკური შეცდომები, კერძოდ გადაწყვეტილების დანართში გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიეთითოს2020 წლის 25 დეკემბერი, ხოლო აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად - 2027 წლის 27 დეკემბერი.

მეხუთე საკითხი: „ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკისინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილების N1 დანართში არ არის მითითებული აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილების N1 დანართში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21842 გადაწყვეტილების N1 დანართში არსებული ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების დანართში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2027 წლის 27 დეკემბერი.

მეექვსე საკითხი: „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის შესწორება;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „შპსთბილისისთავისუფალიუნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილების N1

დანართში არ არის მითითებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპსთბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილებ გადაწყვეტილების N1 დანართში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გასწორდეს „შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ფიზიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21889 გადაწყვეტილების N1 დანართში არსებული ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების დანართში გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიეთითოს 2020 წლის 25 დეკემბერი, ხოლო აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2027 წლის 27 დეკემბერი.

მეშვიდე საკითხი: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგარემების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილებაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზების შესწორება;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა ქეთევან თელიამ აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილების N1 დანართში არ არის მითითებული დეტალური სფეროს დასახელება, ასევე არ არის მითითებული აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა და აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგარემების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილების N1 დანართში ტექნიკური შეცდომების გასწორების შესახებ საკითხი

მომხრე: 15
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,გასწორდეს „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფარმაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ“საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 22 იანვრის №21890 გადაწყვეტილების N1 დანართში არსებული ტექნიკური შეცდომები და გადაწყვეტილების დანართში დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) გრაფაში მიეთითოს - 0916 ფარმაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენად განსაზღვრული ვადის გრაფაში მიეთითოს - 1 წელი (2021 წლის 27 დეკემბრამდე). ხოლო აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს 2027 წლის 27 დეკემბერი.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:20 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა